ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის კურსის

დებულება

მუხლი 1. ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის კურსის მიზანი

ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზებული კურსი (შემდგომში - სპეციალიზებული კურსი) არის სიღრმისეული თეორიულ-პრაქტიკული კურსი, რომელიც ხორციელდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2023 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ადვოკატთა სპეციალიზაციის დებულებით განსაზღვრულ დარგებში და რომელიც მოიცავს შესაბამისი დარგისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხს.

ადვოკატთა ნებაყოფლობითი დარგობრივი სპეციალიზაციის (შემდგომში - დარგობრივი სპეციალიზაცია) მიზანია საქართველოში ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეწყობა, ადვოკატთა კვალიფიკაციისა და იურიდიული სერვისების ხარისხის ამაღლება და მომხმარებელთა ინტერესების ეფექტიანი დაცვა.

მუხლი 2. ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის მიმართულებები

2.1. სპეციალიზაციის კურსები გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტის მიერ ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: ეკონომიკური დანაშაულები, საბანკო და კაპიტალის ბაზრის სამართალი, საგადასახადო სამართალი, საკორპორაციო სამართალი, სამედიცინო სამართალი, სამშენებლო სამართალი, უძრავი ქონების სამართალი, შრომის სამართალი.

2.2. მიმდინარე დარგობრივი სპეციალიზაციის კურსების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ და წინასწარ იქნება ხელმისაწვდომი როგორც გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტის, ისე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

მუხლი 3. სპეციალიზებული კურსის ხანგრძლივობა და განხორციელების წესი

3.1. თითოეული სპეციალიზებული კურსის ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 40 საათს.

3.2. თითოეული სპეციალიზებული კურსი განკუთვნილია არანაკლებ 15 და არაუმეტეს 25 მონაწილისათვის. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალიზებულ კურსზე დარეგისტირდება მაქსიმალურ რაოდენობაზე მეტი მსურველი, მონაწილეები შეირჩევიან პირველადი რეგისტრაციის პრინციპის საფუძველზე.

3.3. სპეციალიზებული კურსის/კურსების გავლა შეუძლიათ ადვოკატის სტატუსის არმქონე პირებსაც. ჯგუფის ფორმირებისას უპირატესობა ენიჭებათ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებს.

3.4. სპეციალიზაციის კურსები როგორც წესი ტარდება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში. კურსი შესაძლოა ჩატარდეს როგორც ფიზიკურ სივრცეში ასევე, დისტანციურად, ჰიბრიდული ფორმატით.

3.5. სპეციალიზაციის კურსები ტარდება კურსის ორგანიზატორების მიერ წინასწარ განსაზღვრული დროისა და კალენდრის შესაბამისად.

მუხლი 4. რეგისტრაცია სპეციალიზებულ კურსზე

4.1. სპეციალიზებულ კურსზე/კურსებზე რეგისტრაცია ცხადდება საჯაროდ. ინფორმაცია ქვეყნდება გერმანულ-ქართული ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - https://lawinstitute.ge/ ასევე, ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე - www.gba.ge.

4.2. სპეციალიზებულ კურსზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვრება თითოეული კურსისთვის და რეგიტრაციის ვადის გასვლის შემდეგ სარეგისტრაციოდ წარდგენილი განაცხადები არ მიიღება.

4.3. რეგისტრაციის მიზნებისთვის, სავალდებულოა სპეციალიზებულ კურსზე დარეგისტრირების მსურველმა პირმა, სარეგიტრაციოდ განსაზღვრულ ვადაში, სრულყოფილად შეავსოს სარეგისტრაციოდ განსაზღვრული მონაცემები, ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით და წარმოადგინოს შემდგომი დოკუმენტები:

(ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

(ბ) უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

(გ) კურსის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

(დ) საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადატურებელი მოწმობის ასლი (იმ შემთხვევაში თუ ადვოკატთა ასოციაციის წევრია).

4.4. სპეციალიზებულ კურსზე რეგისტრაციის მსურველ პირს, ამ მუხლის 4.3. პუქნტით გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისობა ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან უდასტურდება ან უხარვეზდება მონაწილის მიერ რეგისტრაციისას მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნის გზით, განაცხადის გაგზავნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, ხარვეზის გამოსასწორებლად პირს ეძლევა დამატებით 5 (ხუთი) დღიანი ვადა. იმ შემთხვევაში, თუკი სარეგისტრაციო ვადის ამოწურვამდე დარჩენილია 5 (ხუთი) დღეზე ნაკლები, ხარვეზის აღმოფხვრის დრო განისაზღვრება სარეგისტრაციო ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის ხანგრძლივობით.

4.5. სარეგისტრაციო ვადაში, ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების არასრულად წარდგენის შემთხვევაში, რეგისტრაცია არ დადასტურდება.

მუხლი 5. დარგობრივი სპეციალიზაციის კურსის საფასური

5.1. დარგობრივი სპეციალიზებული კურსის საფასური განისაზღვრება თითოეული კურსის შესაბამისად, კურსის ორგანიზატორის მიერ.

5.2. სპეციალიზებული კურსის საფასურის გადახდა დასაშვებია მხოლოდ საბანკო გადარიცხვით, კურსის ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული რეკვიზიტების შესაბამისად.

5.3. სავალდებულოა სპეციალიზებული კურსის გავლის მსურველმა პირმა, კურსის საფასური გადაიხადოს კურსისთვის განსაზღვრულ სარეგისტრაციო ვადაში.

5.4. სარეგისტრაციო ვადაში, ამ მუხლის 5.3. პუნქტით გათვალისწინებული საფასურის გადაუხდელობის ან/და არასრულად გადახდის შემთხვევაში, რეგისტრაცია არ დადასტურდება.

5.5. პირს უფლება აქვს გააუქმოს რეგისტრაცია და დაიბრუნოს მის მიერ კურსისთვის გადახდილი საფასური, სპეციალიზებული კურსის დაწყებამდე. სპეციალიზებული კურსის დაწყების შემდეგ გადახდილი საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას. ამასთან, მონაწილეს არ აუნაზღაურდება სპეციალიზებული კურსის გაცდენილი საათების საფასური.

5.6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატებისათვის თითოეული დარგობრივი სპეციალიზაციის კურსის ფარგლებში მოქმედებს 10%-იანი ფასდაკლება.

მუხლი 6. დარგობრივი სპეციალიზაციის კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი)

6.1. სპეციალიზებული კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსის მონაწილეს გადაეცემა სპეციალიზებული კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) სერტიფიკატი.

6.2. კურსის წარმატებით დასასრულებლად აუცილებელია მონაწილე დაესწროს არანაკლებ 35 საათს და მიიღოს დადებითი შეფასება საგამოცდო ფორმატით დადგენილი წესით.

6.3. სპეციალიზირებული კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს თუ პირი აღნიშნული სერტიფიკატის მიღებიდან 2 წლის განმავლობაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დადგენილი წესით არ მიიღებს შესაბამის დარგში სპეციალიზებული ადვოკატის სტატუსს.

მუხლი 7. სპეციალიზაციის კურსის გამოცდა და შეფასების სისტემა

7.1. სპეციალიზაციის თითოეული კურსისათვის განსაზღვრულია შეფასების სისტემა და საგამოცდო ფორმატი.

7.2. სპეციალიზებული კურსის სრულად გავლის შემდგომ, მონაწილეები აბარებენ კურსისთვის განსაზღვრულ გამოცდას.

7.3. სპეციალიზებული კურსის გამოცდაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ მონაწილეებს რომლებიც დაესწრნენ კურსის არანაკლებ 35 საათს.

7.4. კურსის გამოცდა მოიცავს კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებულ კითხვებს.

7.5. გამოცდა შედგება 20 (ოცი) კითხვისგან. გამოცდის ფარგლებში თითოეული კითხვა შედგება ფაბულისა და 4 სავარაუდო პასუხისგან, საიდანაც მხოლოდ ერთი პასუხია სწორი.

7.6. გამოცდა წარმატებით ჩაბარებულად ეთვლება კურსის მონაწილეს 20 (ოცი) კითხვიდან მინიმუმ 15 (თხუთმეტი) კითხვაზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში.

7.7. გამოცდის ხანგრძლივობა და ფორმატი, თოთოეული კურსის შესაბამისად განისაზღვრება ინდივიდუალურად.

7.8. იმ შემთხვევაში თუ მონაწილე ვერ ჩააბარებს გამოცდას, შესაძლებლობა ექნება დამატებით მხოლოდ ერთ გამოცდაში მიიღოს მონაწილეობა, რომელიც წინასწარ შემუშავებული განრიგის შესაბამისად დაიგეგმება კურსის ორგანიზატორის მიერ.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1 დებულება წარმოადგენს გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტსა და სპეციალიზიებული კურსის/კურსების მონაწილეს შორის დასადები ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს.

8.2 დებულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.